პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

*КОМУНИСТИ* — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 9 (13403) | ოთხშაბათი, 12 იანვარი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

ხურათებზე: მარცხნივ — საჩხერის მეგვინახეობის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტი თ. დეკანოიძე და მეურნეობის დირექტორი შ. ჭიღლაძე ამოწმებენ ვენახების რიგთაშორის დამუშავების ხარისხს, კარგ მოსავალს აქედანვე საფუძველს უყრიან; მარჯვნივ — თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მეფთილე ფ. გვაძაბია, რომელიც წინასაყრილობო ვახტზე დგას და დღიურ ნორმას სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს.
ფოტო ა. მაჭავარიანისა. (საქდესის ფოტოქრონიკა) და გ. გოგოხიასა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

# მხარი დავუჭიროთ

## მოსკოვისა და ლენინგრადის საწარმოთა პატრიოტულ თაოსნობას!

როგორც ცნობილია, მოსკოვისა და ლენინგრადის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან სკკპ XXIII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის და 1966 წლის — ხუთწლედის პირველი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, გამოიჩინეს პატრიოტული თაოსნობა. მათ შეიმუშავეს ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი და გააჩაღეს ბრძოლა ლითონისა და მასალების ყაირათიანად და მომჭირნეობით ხარჯვისათვის და ამის ხარჯზე დამატებითი პროდუქციის გამოშვებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა რესპუბლიკის საწარმოებსა და მშენებლობებზე მოსკოვისა და ლენინგრადის მოწინავე სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების ინიციატივის გავრცელების საკითხი. მიღებულ დადგენილებაში კმაყოფილებით არის აღნიშნული, რომ მოსკოველთა და ლენინგრადელთა პატრიოტულ თაოსნობას, რომელსაც დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, ფართოდ დაუჭირეს მხარი საქართველოს საწარმოებმა და მშენებლობებმა. რესპუბლიკის მშრომელები, რომლებიც ეძებენ ახალ რეზერვებს, აქტიურად ებმებიან შეჯიბრებაში ეკონომიისა და მომჭირნეობისათვის.

თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა იკისრა დაზოგოს 100 ტონა ლითონი და მასალები, რაც საშუალებას მისცემს გეგმის გადამეტებით გამოუშვას ერთი ელმავალი.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მუშაკებმა გადაწყვიტეს წლიური დავალების გადამეტებით გამოუშვან „163“ მოდელის ათი სახარატო ჩარხი. ეს გაკეთდება ფოლადის ეკონომიის, წუნისაგან მიღებული დანაკარგების შემცირების, ლითონის რაციონალური გამოჭრის და მექანიკური დამუშავების მარაგნამეტის შემცირების ხარჯზე. ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა გამონახა 345 ტონა შავი და ფერადი ლითონების დაზოგვის გზები, ამის შედეგად გამოუშვებს 400 ათასი მანეთის პროდუქციას.

რუსთავის მეტალურგებმა გადაწყვიტეს გამოუშვან ათასობით ტონა მზა ნაგლინი, ცხლად გლინული და ცივჭიმული ფილა წუნის შემცირების, უფრო ეკონომიური პროფილების დანერგვისა და ჩამონატრების შემცირების ხარჯზე.

სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს დაზოგონ 192 ათასი კვადრატული დეციმეტრი ტყავეული, რაც საშუალებას მისცემს დაზოგილი ნედლეულისაგან გამოუშვან 65 ათასი წყვილი ფეხსაცმელი.

გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე თბილისის სახეხი ჩარხების ქარხნის, „საქმშენინდუსტრიის“ ტრესტის, თბილისის კამოლმაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“, თბილისის წინდის ფაბრიკა „კრწანისისა“ და ბევრი სხვა საწარმოს კოლექტივებმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს ურჩია ყველგან დაუჭირონ მხარი მოსკოვისა და ლენინგრადის საწარმოთა მშრომელების მნიშვნელოვან ინიციატივას ლითონისა და მასალების ეკონომიისათვის და ამის ხარჯზე დამატებითი პროდუქციის გამოშვებისათვის; ფართოდ გააჩაღონ რესპუბლიკის მშრომელთა შეჯიბრება მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის; იბრძოლონ წარმოების ყოველ უბანზე ეკონომიის მკაცრი რეჟიმის განხორციელებისათვის, ზედმეტობისა და უნაყოფო ხარჯების აღმოფხვრისათვის.

რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს წინადადება მიეცათ თვითეული საწარმოსა და მშენებლობისათვის მშრომელთა მონაწილეობით შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი ლითონისა და მასალების მომჭირნეობის რეჟიმის გასაძლიერებლად და ამის ხარჯზე დამატებითი პროდუქციის გამოსაშვებად.

რესპუბლიკური გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის რედაქციებს დაევალათ სისტემატურად გაუწიონ პროპაგანდა მოწინავე საწარმოთა და მშენებლობათა მუშაობის გამოცდილებას, გააშუქონ მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის შეჯიბრების მიმდინარეობა. (საქდესი).

## პირველი წარმატება

ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროში კომუნისტური შრომის ბრიგადამ ვადამდე შეასრულა შვიდწლიანი გეგმა და მარგანეცს უკვე 1967 წლის ანგარიშში იძლევა.

ბრიგადა იბრძვის, რომ პარტიის XXIII ყრილობის გახსნის დღისათვის ოთხი თვის დავალება შეასრულოს და კვლავ წინ უსწრებდეს დროს.

გამართულად დავიწყეთ ახალი წელი. ჩვენ ყოველდღიურად 20-25 ტონა მარგანეცს ვიძლევთ გეგმის გადამეტებით. ეს მაჩვენებელი თანდათან ვაიზრდება.

**დ. კილაძე,**
ჭიათურის ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

## ქარგი სანინდარი

ჩვენი კომბინატის კოლექტივმა 27 დეკემბრისათვის შეასრულა შალის ქსოვილების გამოშვების გასული წლის გეგმა და დარჩენილ დღეებში დამატებით გამოუშვა 25 ათასი მეტრი შალის ქსოვილი.

ახალი სამეურნეო წელი გამართულად დავიწყეთ. სამ იანვარს 9.300 მეტრის ნაცვლად 12.000 მეტრი ქსოვილი გამოვუშვით. პირველი წარმატება მოიპოვა გამომყვანმა საწარმომ. ამაღე დღეს გეგმის გადამეტებით 2.700 მეტრი ქსოვილი მივეცით სამშობლოს.

**მ. კაპარაძე,**
თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატის გამომყვანი საწარმოს უფროსი.

## გეგმის გადამეტებით

თბილისის პაპიროსის № 2 ფაბრიკის კოლექტივმა ახალი წლის პირველი დღეებიდანვე შრომის კარგი ტემპი აიღო და წარმატებებსაც აღწევს. აქ ათი დღის საწარმოო გეგმა დიდი გადაჭარბებით შესრულდა. მომხმარებელმა ათი დღის გეგმის გადამეტებით მიიღო 3.800 ათასი ცალი პაპიროსი და სიგარეტი.

ყრილობისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა პაპიროსის დამამზადებელი საამქრო (უფროსი თ. ნიშნიანიძე), რომლის ანგარიშზე უკვე აღირიცხა 3.300 ათასი ცალი ზეგეგმითი პაპიროსი.

გეგმის შესრულებასთან ერთად ფაბრიკაში დიდი უურადღება ექცევა ახალი პროდუქციის გამოშვებას. სკკპ XXIII ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების მიხედვით უახლოეს დღეებში დაიწყება ახალი პროდუქციის — მაღალი ხარისხის ფილტრიან სიგარეტ „დიისის“ და პაპიროს „მზიურის“ გამოშვება.

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1966 წლის 11 იანვარს 1 საათსა და 30 წუთზე ქალაქ ტაშკენტში უეცრად გარდაიცვალა გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ლალ ბაჰადურ შასტრი.

ლ. ბ. შასტრის სახით ინდოელმა ხალხმა და მთელმა კაცობრიობამ დაკარგეს მშვიდობისა და პროგრესისათვის ერთ-ერთი მტკიცე და თანმიმდევარი მებრძოლი.

ლ. ბ. შასტრი იყო ინდოელი ხალხის დიდი ლიდერების მაჰატმა განდისა და ჯავაჰარლალ ნერუს ერთგული თანამოღვაწე და მათი საქმის განმგრძობი. მთელი თავისი საქმიანობითა და მისწრაფებებით იგი ემსახურებოდა ინდოელ ხალხს, ზრუნავდა ინდოეთის აყვავებისა და მისი ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის.

ლ. ბ. შასტრი საბჭოთა კავშირის დიდი მეგობარი იყო. მან თვალსაჩინო წვლილი შეიტანა საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მეგობრული ურთიერთობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საქმეში.

ლ. ბ. შასტრი იჩენდა დიდ სახელმწიფოებრივ სიბრძნეს, ძალღონეს არ ზოგავდა იმისათვის, რომ განემტკიცებინა აზიის მშვიდობა, გამოენახა ინდოეთისა და პაკისტანის კონფლიქტის ლიკვიდაციის გზები და დაემყარებინა მათ შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა. ამ საქმიანის გადაწყვეტას მიეძღვნა მისი მეცადინეობა პაკისტანის პრეზიდენტთან ტაშკენტში შეხვედრის დროს, ეს შეხვედრა დაგვირგვინდა შეთანხმებით, რომელიც გამოიხატა ტაშკენტის ისტორიული დეკლარაციით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, მთელი საბჭოთა ხალხი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ამ მძიმე დანაკლისის გამო და თავიანთ გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებენ ინდოეთის მთავრობას, ინდოელ ხალხს დ განსვენებულის ოჯახს.

ამ მწუხარე დღეებში საბჭოთა ხალხი აღუთქვამს ინდოელ ხალხს თავის ურყევ ძმობასა და მეგობრობას.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი** — **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

# მის აღმატებულებას ინდოეთის პრეზიდენტს დოქტორ სარვაპალი რადჰაკრიშნანს

## მის აღმატებულებას ინდოეთის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემასრულებელს ბატონ გულზარილალ ნანდას

საბჭოთა ხალხი შეაძრწუნა ინდოეთის გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის პრემიერ-მინისტრ ლალ ბაჰადურ შასტრის უდროოდ გარდაცვალების ამბავმა.

მაჰატმა განდისა და ჯავაჰარლალ ნერუს ხელმძღვანელობით ლ. ბ. შასტრი ახალგაზრდობიდანვე იბრძოდა სამშობლოს ეროვნული განთავისუფლებისათვის. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ იგი მთელ თავის ძალღონეს ახმარდა ხალხის სამსახურს, ინდოეთის სახელმწიფოს განმტკიცებას. მისი თვალსაჩინო თვისებები, როგორც სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწისა, განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრის პოსტზე.

ლ. ბ. შასტრიმ უდიდესი წვლილი შეიტანა მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში. მთავრობა, რომელსაც იგი მეთაურობდა, თანმიმდევრულად და განუხრელად განაგრძობდა ინდოეთის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია ხალხთა მეგობრობის განმტკიცება. სწორედ ამ მიზნის მიეძღვნა მისი კონსტრუქციული მეცადინეობა ინდოეთისა და პაკისტანის ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის. ტაშკენტის დეკლარაცია, რომელსაც ლ. ბ. შასტრიმ ინდოეთის სახელით მოაწერა ხელი, აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა განმტკიცების საქმეში შეტანილი თვალსაჩინო წვლილია.

ხაბჭოთა ხალხს არასოდეს არ დაავიწყდება ლ. ბ. შასტრი — საბჭოთა კავშირის დიდ მეგობარი. მან ბევრი რამ გააკეთა ინდოელი და საბჭოთა ხალხების ურყევი მეგობრობისა და მჭიდრო თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საბჭოთა მთავრობა ღრმა სამძიმარს უცხადებენ ინდოელ ხალხს, თქვენ, ბატონო პრეზიდენტო და თქვენ, ბატონო პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელო, ინდოეთის მთელ მთავრობას.

გთხოვთ ჩვენი სახელით გულწრფელი და ღრმა სამძიმარი გადასცეთ განსვენებულის ოჯახის წევრებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
**ნ. ვ. პოდგორნი**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**ა. ნ. კოსიგინი**

# ა. ნ. კოსიგინი ეწვია ინდოეთის დელეგაციას

ტაშკენტი, 11 იანვარი. (საკდე ს ი). დღის 4 საათზე ადგილობრივი დროით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. დ. სოკოლოვსკი, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ს. ხასრიდინოვი, უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე რ. კ. ყურბანოვი, უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ს. ა. აზიმოვი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. გ. ლომონოსოვი ინდოეთის დელეგაციის რეზიდენციას ეწვიენენ და ინდოეთის თავრობასა და მთელ ინდოელ ხალხს ღრმა თანაგრძნობა გამოუცხადეს ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ლალ ბაჰადურ შასტრის უეცარი გარდაცვალების გამო.

ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სვარან სინგჰის, თავდაცვის მინისტრის ი. ბ. ჩავანისა და ინდოეთის დელეგაციის სხვა წევრთა, აგრეთვე პრესის წარმომადგენელთა თანდასწრებით ა. ნ. კოსიგინმა დაათვალიერა ლ. ბ. შასტრი როგორც ინდოეთის სახელმწიფოს გამოჩენილი ლიდერი, მშვიდობისათვის დიდი მებრძოლი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ინდოეთისა და პაკისტანს ურთიერთობის გაუმჯობესებას, ხელი მოაწერა ტაშკენტის ისტორიულ დეკლარაციას და დიდი წვლილი შეიტანა ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცებაში.

# ა. ნ. კოსიგინი ლონდონში ჩავიდა

ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ლალ ბაჰადურ შასტრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ინდოეთის რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს ეწვიენენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ი. ვორონოვი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ფ. ს. პოლიანსკი.

# ა. ნ. კოსიგინი ეწვია ინდოეთის დელეგაციას

10 იანვარს ტაშკენტის შეხვედრის დასკვნითი სხდომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა ჟურნალისტებმა* სთხოვეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ს. ნ. კოსიგინს შთაბეჭდილება გაეზიარებინა პაკისტანის პრეზიდენტის მ. აიუბ ხანისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ლ. ბ. შასტრის მოლაპარაკების შესახებ.

ა. ნ. კოსიგინმა თქვა:

— დღეს აქ ხელი მოაწერეს ტაშკენტის დეკლარაციას, რომელიც დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტია. ამ დოკუმენტით დაიწყო ინდოეთისა და პაკისტანის ურთიერთობის განვითარების ახალი ეტაპი, ბოლო მოეღო სამხედრო კონფლიქტს, დაისახა ამ საძნელეთა გადალახვის გზები, რომლებიც ხელს უშლიდნენ აზიის ორი დიდი სახელმწიფოს ურთიერთობის ნორმალიზაციას და, ჩვენი აზრით, რეალური საფუძველი ჩაეყარა იმას, რომ აზიის ამ უმნიშვნელოვანეს რაიონში შეიქმნას მშვიდობის პირობები.

ეს ძნელი მოლაპარაკება იყო, და სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. სადავო პრობლემები ხომ მრავალი წლის მანძილზე გროვდებოდა. მეტიც, უნდა გვახსოვდეს, რომ შუღლი პაკისტანსა და ინდოეთს შორის მემკვიდრეობაა კოლონიზატორთა ბატონობის ხანგრძლივი პერიოდისა, რომლებიც დამონებულ ხალხებს ერთმანეთის წინააღმდეგ ამხეჯრიბდნენ. მდგომარეობა უფრო გართულდა იმის შედეგად, რომ ინდოეთსა და პაკისტანს შორის წარმოიშვა სამხედრო კონფლიქტი.

ჩვენ გვესმის, რომ იმ ორი ქვეყნის ხელმძღვანელებისათვის, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ ერთმანეთს ეომებოდნენ, არც ისე ადვილი საქმე იყო შეხვედროდნენ ერთმანეთს მოლაპარაკების მაგიდასთან, ხელი ჩამოერთმიათ ერთმანეთისათვის და დაეწყოთ იმ რთული საკითხების გადაჭრის საშუალებათა გამოძებნა, რომლებიც პაკისტანსა და ინდოეთს თიშავენ. მაგრამ, როგორც ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა შასტრიმ, ისე პაკისტანის პრეზიდენტმა აიუბ ხანმა ღირსეულად გადალახეს ეს სიძნელე, დაეთანხმნენ საბჭოთა მთავრობის მოწვევას და ტაშკენტში ჩამოვიდნენ მოსალაპარაკებლად. ეს ჩვენ მიგვაჩნია დიდი სახელმწიფოებრივი სიბრძნისა და ორივე ქვეყნის ხალხთა საარსებო ინტერესებისათვის ზრუნვის გამოვლინებად.

როგორ მიმდინარეობდა თვით მოლაპარაკება? შვიდ დღეს გრძელდებოდა ურთიერთმისაღებ გადაწყვეტილებათა მოთმინებით ძიება. პუნქტობით იყო განხილული რთული პრობლემები, რომლებიც პაკისტანსა და ინდოეთს თიშავს. პაკისტანის პრეზიდენტმა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა დიდი შრომა გასწიეს, რათა გამოენახათ ამ პრობლემათა მოწესრიგების გზები. თამამად შეიძლება თქვას, რომ მათ ყოველი ღონე იხმარეს, რათა კონსტრუქციულად მისდგომოდნენ იმ საკითხების გადაჭრას, რომლებიც აინტერესებს როგორც ინდოელ, ისე პაკისტანელ ხალხებს.

ტაშკენტის დეკლარაცია ამყარებს მშვიდობას, აწესრიგებს პაკისტანისა და ინდოეთის დიპლომატიურ ურთიერთობებს, წყვეტს ბევრ სხვა საკითხს, რომლებიც კონფლიქტის შედეგად წარმოიშვა, სახავს შესაძლებლობას, რომ ორივე ქვეყანამ შეამციროს სამხედრო ხარჯები და, მაშასადამე, ის სამხედრო ტვირთი, რომელსაც ზიდავდნენ და ჯერ კიდევ ზიდავენ ინდოელი და პაკისტანელი ხალხები.

ყოველივე ეს შესაძლებლობას უქმნის როგორც ერთ, ისე მეორე სახელმწიფოს დაიწყონ ნორმალური ცხოვრება. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ინდოეთისა და პაკისტანის ხალხები ჯეროვნად დააფასებენ თავიანთ ხელმძღვანელებს, იმისათვის, რომ შეძლეს გამოენახათ გადაწყვეტილებანი, რომლებიც მათი ხალხების ძირეულ ინტერესებს შეესაბამება.

ყველას, ვისაც გულწრფელად სურს, რომ აზიის ამ უმნიშვნელოვანეს რაიონში მშვიდობა სუფევდეს, გაახარებს ორივე ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეთა ეს ბრძოლა ნაბიჯი.

ტაშკენტის დეკლარაციის შესრულება დამოკიდებული იქნება იმათ უნარზე და სახელმწიფოებრივ გამჭრიახობაზე, ვინც ამ დეკლარაციას განახორციელებს. უდიდესი მნიშვნელობა ექნება დეკლარაციაში ჩაწერილ დებულებათა შესრულებას. მათი რეალიზაციის შედეგად პაკისტანისა და ინდოეთის ხალხები იგრძნობენ ტაშკენტის შეხვედრის რეალურ ნაყოფს.

ვსარგებლობ რა შემთხვევით, მინდა მთელი საბჭოთა ხალხის სახელით მხურვალედ მივულოცო ინდოეთისა და პაკისტანის ხალხებს, ეუსურვო მათ მშვიდობა და ბედნიერება ყოველ სახლში, ყოველ ოჯახში.

## პაკისტანის პრეზიდენტი სამშობლოში დაბრუნდა

ყარაჩი, 11 იანვარი. (საკდესი). დღეს პაკისტანის პრეზიდენტი მოჰამედ აიუბ ხანი რავალპინდიში დაბრუნდა.

# ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმს

ტირანა

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების 20 წლისთავის გამო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მთელი საბჭოთა ხალხის სახელით გულთბადად ულოცავს ძმამე ალბანელ ხალხს და გამოთქვამს რწმენას, რომ ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობა და თანამშრომლობა განმტკიცდება მშვიდობისა და სოციალიზმის ინტერესებისათვის.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.**

მოსკოვი, კრემლი, 1966 წლის 11 იანვარი.

# ა. ნ. კოსიგინის საუბარი მოჰამედ აიუბ ხანთან

ტაშკენტი, 10 იანვარი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მიერ გამართული დარბაზობის შემდეგ ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა პაკისტანის პრეზიდენტს მოჰამედ აიუბ ხანს.

# ა. ნ. კოსიგინის საუბარი ინდოეთის ელჩთან

ტაშკენტი, 11 იანვარი. (საკდესი). ა. ნ. კოსიგინი, საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. დ. სოკოლოვსკი, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ს. ხასრიდინოვი, უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე რ. კ. ყურბანოვი, უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ს. ა. აზიმოვი, ინდოეთის საელჩოს ელჩი ბ. ნ. ჩატერჯი ინდოეთის ელჩმა ინდოეთის ელჩმა ინდოეთის ელჩმა

# მომჭირნეობა და ყაირათიანობა სახალხო კონტროლიორთა უმნიშვნელოვანესი ფრონტია

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტმა მიიღო დადგენილება სახალხო კონტროლის კომიტეტებისა და ჯგუფების ამოცანების შესახებ მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის მოსკოვისა და ლენინგრადის მოწინავე სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების პატრიოტული თაოსნობის გამო.

კომიტეტმა დაავალა სახალხო კონტროლის ორგანოებს, სახალხო კონტროლიორების მთელ მრავალმილიონიან არმიას როგორც პარტიის აქტიურ თანაშემწეებს ჩაებან საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და დაწესებულებების ბრძოლაში მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის. ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის, უკრაინის, უზბეკეთის, ლატვიის, საქართველოსა და სხვა რესპუბლიკების სახალხო კონტროლის კომიტეტებისა და ჯგუფების მუშაობის დადებითი გამოცდილება ლითონის, საშენი მასალების, ელექტროენერგიის, თბოენერგიისა და სათბობის ეკონომიისათვის ბრძოლაში ცხადყოფს, ნათქვამია დადგენილებაში, ბევრი რამის გაკეთება შეიძლება, თუ მომჭირნეობის და ყაირათიანობისათვის ბრძოლაში ჩავებამთ ყველა სახალხო კონტროლიორს, მუშებს, კოლმეურნეებს, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების ფართო მასებს.

სახალხო კონტროლის კომიტეტებს წინადადება მიეცათ განუმარტონ ყველა სახალხო კონტროლიორს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „მოსკოვისა და ლენინგრადის მოწინავე სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების ინიციატივის შესახებ ლითონისა და მასალების ეკონომიისათვის და ამის ხარჯზე დამატებითი პროდუქციის გამოშვებისათვის“. დაეხმარონ სახალხო კონტროლის ყოველ ჯგუფს შეიმუშაონ მოქმედების კონკრეტული გეგმა, ინსტრუქცია მისცენ აქტივს.

სახალხო კონტროლის ჯგუფებმა და კომიტეტებმა კონტროლი უნდა გაუწიონ, იმას, თუ როგორ სრულდება პარტიისა და მთავრობის მითითებანი შრომითი და მატერიალური რესურსების, ფულადი სახსრების ეკონომიის საქმეში, ქმედითად დაეხმარონ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებს ამ საქმეში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში. ამასთან საჭიროა არა მარტო დროულად გამოვავლინოთ ნაკლოვანებანი და მათი მიზეზები, არამედ სწრაფადაც აღმოვფხვრათ ყოველივე ის, რაც ხელს უშლის მატერიალური რესურსებისა და ფულადი სახსრების განაოგებას.

სახალხო კონტროლიორებს უნდა ახსოვდეთ, აღნიშნულია დადგენილებაში, რომ საბჭოთა ადამიანისათვის ძვირფასია თვითეული კილოგრამი ლითონი, ნავთობი, მარცვალი, თვითეული კილოვატ-საათი ენერგია, თვითეული სამუშაო წუთი, თვითეული სახელმწიფო მანეთი. აი რატომ არის საჭირო მტკიცე ბრძოლა ეკონომიისათვის ჩვენი ეგზეკუტიური მეურნეობის ყოველ უბანსა და რგოლში. სახალხო კონტროლიორები სახალხო დოვლათისადმი ყაირათიანი დამოკიდებულების პირად მაგალითს უნდა უჩვენებდნენ, იჩენდნენ შეურიგებლობას უყაირათობის, მფლანგველობის ფაქტებისადმი, მტკიცედ იცავდნენ საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის ბრძოლის მსვლელობაში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ყოველის უნდა დაეთმოს ისეთ საკითხებს, როგორიც არის:

— ლითონის, მასალების აღრიცხვის, შენახვისა და გამოყენების მოწესრიგება, მათი ხარჯვის ტექნიკურად დასაბუთებული პროგრესული ნორმების დანერგვა, ზენორმატიული მარაგის შემცირება;

— უნაყოფო ხარჯების, სხვადასხვა სახის დანაკარგისა და წუნის შემცირება, საწარმოო ნარჩენების გონივრული გამოყენება;

— მოწყობილობის, მანქანების, მექანიზმების გამოყენების გაუმჯობესება, დაუდგენელი მოწყობილობის სწრაფი ამოშავება;

— მანქანების, მექანიზმების, ხელსაწყოების ტექნიკური დონის, საიმედოობისა და ხანგამძლეობის ამაღლება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება;

— ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შემცირება და გაიაფება.

კომიტეტებსა და ჯგუფებს წინადადება მიეცათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ უბნებზე, საამქროებში, საწარმოებში ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში ლითონის, მასალების ეკონომიური ხარჯვისა და ამ გზით ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებისათვის, სისტემატური კონტროლი გაუწიონ მათ შესრულებას. უფრადღება უნდა გავაძლიეროთ წარმოებაში მოწინავე გამოცდილების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვის საკითხებისადმი, ყოველი ღონისძიებით დავუჭიროთ მხარი მშრომელთა ინიციატივას სახალხო დოვლათისადმი ყაირათიან დამოკიდებულებაში.

სახალხო კონტროლის კომიტეტები და ჯგუფები ვალდებული არიან განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება კონტროლის ეფექტიანობის ამაღლებისათვის. მათს საქმიანობაში მთავარი უნდა იყოს შემოწმებების, რეიდების, დათვალიერებების, სხდომებისა და თათბირების რაოდენობა კი არა, არამედ პრაქტიკული შედეგების მიღწევა. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ მომჭირნეობა და ყაირათიანობა ხანმოკლე კამპანია კი არა, ყოველდღიური ამოცანაა.

მომჭირნეობისა და ყაირათიანობის საქმეში პარტიული ორგანიზაციებისათვის დახმარების გასაწევად მუშაობის გაშლაში უნდა გამოვიყენოთ მასობრივი რეიდების, დათვალიერებებისა და შემოწმებების გამოცდილება წარმოების რეზერვების გამოვლინებისათვის: პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან, პარტიულ ორგანიზაციებთან ერთობლივი მუშაობის ხასიათისა. [illegible] ფარგლებში, ნოვატორები, [illegible] მშრომელთა შემოქმედებითი გაერთიანებანი. სახალხო კონტროლის რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები სისტემატურად უნდა სწავლობდნენ, განაზოგადებდნენ და ავრცელებდნენ მომჭირნეობისა და ყაირათიანობის დარგში სახალხო კონტროლიორთა მუშაობის დადებითს გამოცდილებას, მუდამ უწევდნენ დახმარებას და მხარს უჭერდნენ მათ.

მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის ბრძოლაში უნდა გამოვიჩინოთ მაღალი პრინციპულობა და მომთხოვნელობა, შეურიგებლად მოვეკიდოთ სახალხო დოვლათის განიავების ფაქტებს, შევქმნათ იმ პირთა საზოგადოებრივი დამრცხვა, რომლებიც უყაირათობასა და მფლანგველობას იჩენენ.

ყაირათიანობისა და მომჭირნეობისათვის მშრომელთა საერთო ბრძოლაში, კომიტეტებისა და ჯგუფების აქტიური მონაწილეობა დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება იქნება კონტროლში ფართო მასების ჩასაბმელად, ხელს შეუწყობს მისი ქმედითობის ამაღლებას.

* * *

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტმა იმედი გამოთქვა, რომ კომიტეტები და ჯგუფები, ყველა სახალხო კონტროლიორი საქმიანად ჩაებმება მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის ლაშქრობაში. დაე ის ლითონი, მასალები და სხვა რესურსები, ფულადი სახსრები, რომლებიც მათი მუშაობის შედეგად დაიზოგება, ღირსეული წვლილი იყოს საფოველთაო-სახალხო ბრძოლაში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განმტკიცებისათვის, იყოს ერთ-ერთი საჩუქარი, რომელიც მიეძღვნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობას.

**ზ. პატარიძე.**

**საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.**

# სამრეწველო ობიექტები მწყობრში

**ჭიათურელ ინიციატორებთან**

თანამედროვე მრეწველობის საფუძველია საფუძველი მეტალურგია, რომლის განვითარებას პარტია მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა და უთმობს. მეტალურგიულ მრეწველობას კი როგორც კაცს ჰაერი, ისე სჭირდება მაღალხარისხოვანი მარგანეცი. ამიტომ არის, რომ მაღალხარისხოვან მარგანეცზე მოთხოვნილება თანდათან უფრო იზრდება.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში უახლესი სამთო ტექნიკის დანერგვამ, ახალ სიმძლავრეთა ამუშავებამ, მადნის გამდიდრების ტექნოლოგიის გაუმჯობესებამ შექმნა ყველა საჭირო წინამძღვარი საწარმოო დავალებათა თანმიმდევრულად და ყველა მაჩვენებლის მიხედვით შესრულებისათვის. ბოლო დროს ჭიათურაში განსაკუთრებით გავამახვილეთ ყურადღება პროდუქციის ხარისხის ამაღლების საკითხებისადმი. ამით აიხსნება, რომ პირველი ხარისხის მარგანეცის დამზადების შეიდწლიანი დავალება ვადამდე შეასრულეთ, არ მოგვდის რეკლამაციები და ჭიათურის მარგანეცს დიდი ხალისით ეტანებიან საბჭოთა თუ უცხოეთის მომხმარებლები.

ჭიათურის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციას, რასაკვირველია, შეგნებული აქვს, რომ მარგანეცის მრეწველობის მიღწევები პირდაპირ არის დაკავშირებული ახალ სიმძლავრეთა ამოქმედებასთან, ძველი ტექნოლოგიის შეცვლა-გაუმჯობესებასთან. ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედება და წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება კი მოითხოვს კაპიტალურ დაბანდებათა, ძირითადი და საბრუნავი ფონდების გონივრულ და ეფექტურ გამოყენებას.

შეიდწლიანის განმავლობაში ჭიათურაში მწყობრში ჩადგნენ ითხუნის, დარკვეთის, მღვიმეკის, ზედა რგანის, მერევის ახალი მაღაროები. მოქმედებენ ლენინის, კალინინისა და დიმიტროვის სახელობის მაღაროთა ღია სამუშაოების კარიერები, აშენდა დარკვეთის № 29 და ცენტრალური დამყვანი ფაბრიკები.

ახალ სიმძლავრეთა ამოქმედებისათვის განკუთვნილი კაპიტალდაბანდება მაშინ არის ეფექტური, თუ ამუშავებული საწარმო მოგვცემს პროგენტით გათვალისწინებულ პროდუქციას როგორც რაოდენობის, ისე ხარისხის მიხედვით. თავიანთ საპროექტო სიმძლავრეებს აჭარბებენ დარკვეთისა და ზედა რგანის მაღაროები, ცენტრალური დამყვანი და № 29 გამამდიდრებელი ფაბრიკები. საკმარისია ითქვას, რომ ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის კოლექტივმა მადნის ტექნოლოგიის გაუმჯობესებით საპროექტო სიმძლავრეს 54 პროცენტით გადაჭარბა.

მაგრამ ყოველთვის როდი ხდება ასე. პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმზე აღინიშნა, რომ სახალხო მეურნეობის ზოგიერთი დარგის დაგეგმვაში ადგილი ჰქონდა სერიოზულ შეუსაბამობებს, რაც უარყოფითად მოქმედებდა კაპიტალურ დაბანდებათა და ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ეფექტურ გამოყენებაზე. ამის დამადასტურებელი მაგალითები ჭიათურაშიც გვაქვს.

დარკვეთის მარგანეცის ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკის კომპლექსში 1961 წელს დამთავრდა და ამუშავებულ იქნა კარბონატული მადნების გამამდიდრებელი საწარმო, რომლის წლიური წარმადობა შეადგენს 175 ათას ტონნა კარბონატულ კონცენტრატს. მაგრამ **იმის გამო, რომ ფაბრიკის პროდუქციას ჯერჯერობით მომხმარებელი არა ჰყავს, მისი საპროექტო სიმძლავრე 5 პროცენტითაც არ არის ათვისებული! ამგვარად, წლობით გამოუყენებელია მილიონობით მანეთის ძირითადი ფონდები და წარმოების საშუალებანი.** ეს მდგომარეობა, იხადია, შეუთავსებელია სოციალისტური მრეწველობის გონივრულ დაგეგმვასთან.

მაღე ასეთსავე მდგომარეობაში აღმოჩნდება ცენტრალური საფლოტაციო ფაბრიკის მთელი კომპლექსი, რომლის მშენებლობაზე ათეულ მილიონობით მანეთი იხარჯება. ეს ფაბრიკა წელს მეორე კვარტალში უნდა დამთავრდეს. საქმე ის არის, რომ საფლოტაციო ფაბრიკის პროდუქციის რეალიზაცია, რისთვისაც ტრანსპორტირება არის აუცილებელი, შეუძლებელი იქნება, თუ ვერ მოვახერხეთ ამ პროდუქციის დაბრიკეტება. ფლოტაციური კონცენტრატის დამუშავებელი ფაბრიკის მშენებლობა კი გათვალისწინებულია 1966-1967 წლისათვის ზესტაფონში. უეცრეს შემთხვევაში, დამგუნდავებელი ფაბრიკის მშენებლობა, რომელიც ჯერ არც დაწყებულა, 1967 წლის ბოლოს დამთავრდება. გამოდის, რომ საფლოტაციო ფაბრიკის მიერ გამოშვებული პროდუქცია ერთი წლის განმავლობაში მაინც ჭიათურაში უნდა შეინახონ საწყობებში, რაც მიზანშეუწონელი და არარენტაბელურია. **ამ შეუსაბამობისა და ზარალის თავიდან ასაცილებლად უნდა დაჩქარდეს ფლოტაციური კონცენტრატის დამგუნდავებელი ფაბრიკის მშენებლობა.**

საფლოტაციო ფაბრიკის მშენებლობის დროულად დამთავრებით, გარდა იმისა, რომ პროდუქციას მივიღებთ, ჭიათურელი მშრომელები იმიტომაც არიან დაინტერესებული, რომ გაიწმინდება მდინარე ყვირილა, რომელიც შლამებით არის გაბინძურებული ჭიათურიდან შავ ზღვადე. გასუფთავების შემდეგ კი ეს მდინარე გამოყენებული იქნება მშრომელთა გართობა-დასვენების ბაზად. თუმცა მთავარი მაინც ის არის, რომ ოიკეთეთება მადნის დანაკარგები, მდინარეს სამუდამოდ რომ მიაქვს შავ ზღვაში.

სამრეწველო სიმძლავრეთა მწყობრში დროულად ჩაყენებასთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობას, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან ამაზეა დამოკიდებული მშრომელთა კეთილდღეობა, საწარმოო შრომისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

სამწუხაროდ, ახალ სიმძლავრეთა მწყობრში დროულად ჩაყენებას ჯერ კიდევ ბევრი შეფერხება ეღობება. მშენებლებს დროულად ვერ აწვდიან საშენ მასალებს, ხშირად მათ სამუშაო ფრონტი არა აქვთ. ამას თან ახლავს მოცდენები, დაბალი გამომუშავება, მუშახელის დენადობა, უდისციპლინობა, რაც საბოლოო ანგარიშით მოქმედებს სამშენებლო ობიექტების დამთავრების ვადებსა და ხარისხზე.

აღსანიშნავია, რომ ჭიათურელ მშენებლებს მთელი 1965 წლის განმავლობაში აკლდათ ხე-ტყე, საკეთლე მასალა, ცემენტი, საარმატურო რკინა და სხვა მასალები. მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკაში ცემენტის პრობლემა გადაჭრილია, მომწოდებელი ორგანიზაციების მოუქნელობის შედეგად უეცმინტობის გამო ასობით მუშა ცდებოდა. ასეთი პირობებში გამორიცხული იყოდა ეერიშობანას მავნე პრაქტიკა, რაც იწვევს მშენებლობის ხარისხის გაუარესებას და თვითღირებულების ამაღლებას.

1965 წლის გეგმით გათვალისწინებული ორმოცდაცხრა ასამუშავებელი ობიექტიდან დაახლოებით მესამედი არ ამუშავებულა და ეს არა იმიტომ, რომ იქ დიდი თანხებია ასათვისებელი, არამედ იმიტომ, რომ დაუმთავრებელია „წვრილმანი“ სამუშაოები, ურომლისოდაც არ შეიძლება ობიექტის მიღება. ასეთ მდგომარეობაშია დარკვეთის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის საშლამო მეურნეობის სატუმბო, ტექნიკური და სასმელი წყლის რეზერვუარები, მადნის ქიმიური გამდიდრების საამქრო, ნაგუთის აბანო-სამრეცხაო, ქალაქის ცენტრალური სამგზავრო - საბაგირო გზა და სხვ.

ამ ვითარებაში გასაკვირველი როდია, რომ მშენებლობათა პარტიული ორგანიზაციები ერთობ ნელი ტემპით იზრდებიან, დაბალია მშენებელ კომუნისტთა ბრძოლისუნარიანობა. პარტიის საქალაქო კომიტეტმა მხარი დაუჭირა ამ მაღაროელი კომუნისტების თაოსნობას, რომლებიც სამუშაოდ წავიდნენ საფლოტაციო ფაბრიკის მშენებლობაზე. 50 მაღაროელმა კომუნისტმა სიახლე, ორგანიზებულობა და პასუხისმგებლობის მაღალი შეგნება შეიტანა ფაბრიკის მშენებელთა კოლექტივში, საქმე წინ წავიდა. მაგრამ ახლა ეს მშენებლები კვლავ ფირხდებიან. მთავარი კორპუსის ბაქნების დაბეტონება მასალების უქონლობის მიზეზით ორი თვის განმავლობაში შეჩერებული იყო.

ცალკე უნდა ითქვას ქვემოიჯარე ორგანიზაციების მრავალრიცხოვნობისა და მუშაობის „სტილის“ შესახებ. იმის გამო, რომ ქვემოიჯარე ორგანიზაციათა უმეტესი ხელმძღვანელები ჭიათურას დიდი მანძილით არიან დაშორებულნი, ხშირად წვრილმანი საკითხის ოპერატიულად გადაწყვეტა ვერ ხერხდება და სამუშაო თვეობით ჭიანურდება. ამ ქვემოიჯარეთაგან ხელსაყრელად გამოირჩევიან „სტალკონსტრუქციის“, „ელექტრომონტაჟის“, „მეხანობრპროკატმონტაჟის“ ჭიათურის უბნები, მაგრამ ზოგიერთი სხვა ქვემოიჯარე ორგანიზაციის მუშაობა ჭიათურაში ჯერ კიდევ ვერა დგას მოწოდების სიმაღლეზე.

ჭიათურელი მშრომელები შარშან ოქტომბერში წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრების თაოსნებად გამოვიდნენ. ჩვენ ვიკისრეთ სამრეწველო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა დროულად დამთავრება. ახლა ყველაფერს ვაკეთებთ, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, ამისათვის, რომ ასამუშავებელი ობიექტები ვადაზე და ხარისხოვნად დავამთავროთ, პირობა არ გაეტეხოთ.

ყოველი ჭიათურელი კომუნისტის, მშენებლის სისხლხორცეული საქმე და წვიდა ვალია დარაზმონ მთელი ძალები, გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა, აშენონ სწრაფად, იაფად, სიამეოდ, ახალი საწარმოო გამაჯერებებით შეხვდნენ მშობლიური კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობას.

**ზ. პატარიძე.**

**საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.**

# ახალი პროდუქცია

**„კომუნისტის“ მკითხველებს შევახსენებთ პატრიოტ მაღაროელებს, ამ ორი თვის წინათ ჭიათურის დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივმა გულთბილი გაცილება მოუწყო საბჭოთა არმიაში მიმავალ ახალგაზრდებს. მათ შორის იყო კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელიც წვევამდელი ექვსი ახალგაზრდისაგან შედგებოდა. გაცილებისას ამ ბრიგადას საზეიმო ვითარებაში გადაეცა მაღაროს ბარდამავალი წითელი დროშა და სამახსოვრო საჩუქრები...**

**უფროსი თაობის მაღაროელებმა მომავალ ჯარისკაცებს გააყოლეს გულწრფელი სურვილები: არ შეერცხვინათ მაღაროს კოლექტივი, თვალისჩინივით გაფრთხილებოდნენ მთების წიაღში მოპოვებულ კომუნისტური შრომის მაგვარელს სატეო სახელს, არმიაშიც ებრძოლათ სამხედრო-პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნობისათვის.**

**— ღირსეულად ვატარებთ ხაბეთოთა მეომრის საამაყო სახელს, ჩვენი საქციელით არ შეგარცხვენთ, — ასეთი პირობა დადეს ახალგაზრდებმა.**

**მცირე დრო გავიდა. სამხედრო ნაწილიდან მაღაროში უკვე მოვიდა პირველი ბარათები, რომლებიც იუწყებიან პატრიოტ მაღაროელთა საქმიანობაზე. 24 ნოემბერს ბრიგადის წევრები, როგორც სკკპ წევრობის კანდიდატები, ნაწილის პარტიულ კონფერენციას დასწრებიან. 28 ნოემბერს კომუნისტური შრომის ბრიგადასთან მოიწვევიან შეხვედრა. გარნიზონის უფროსს გულთბილად ულაპარაკია ჭიათურელი ახალგაზრდობის საქმიანობაზე, შეუქია ისინი. სიტყვით გამოსულა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი თ. მაკავარიანი, რომელსაც ახალი ვალდებულებები უკისრია.**

**„ახლა გარნიზონის ლენინის ოთახის ერთ-ერთ საპატიო ადგილზე ჰკიდია დროშა, რომელიც დემიტროველებმა გამოგვაგზავნეს, — ვკითხულობთ ბარათში. — დროშის ერთი შეხედვაც გვაგონებს ჩვენი მაღაროს კოლექტივს, მშობლიურ ჭიათურას, და ახალ ძალებს გვმატებს. იგი მოგვიწოდებს, შთაგვაგონებს ვიყოთ წესიერნი, დისციპლინიანნი, საბრძოლო-პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნებნი“.**

**დასასრულ ბარათში ნათქვამია: „მოახლოვდა ფიცის მიღების დღე. ერთობ გაჭირდა ნიშნების მიღება. უფრო ძნელი უმაღლესი სასწავლებელში მისაღები გამოცდებიც თუ იქნება. ეს ბუნებრივია, რადგან ხაქმე გვაქვს უახლეს ტექნიკასთან... ჩვენმა ბიჭებმა გამოცდები ჩინებულად ჩავაბარეთ, 19 დეკემბერს მხედრული ფიცი მივიღეთ, უკვე სამშობლოს სრულუფლებიანი დამცველები ვართ“...**

**მაღაროდანაც მეგობრულ, გამამხნევებელ წერილებს უგზავნიან თავიანთ ბიჭებს. მოუთხრობენ მაღაროელთა შრომასა და ცხოვრებაზე. მაღაროელებს მტკიცედ სჯერათ, რომ მათი წარგზავნილები მუშურ და მხედრულ სიტყვას არ გატეხენ.**

**ჯ. ჭიოკაძე,**

**„კომუნისტის“ საკ. კორ.**

**თბილისის ქარხანა „მიკროძრავის“ პროდუქციაა თავისი მაღალი ხარისხითა და გამძლეობით ცნობილი ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. ამიტომ არის, რომ ამ ქარხნის ნაწარმზე დიდი მოთხოვნილებაა. ქარხნის შრომისმოყვარე კოლექტივი ყოველთვის იმის ცდაშია, რომ სრულყოფილად შეასრულოს დამკვეთი ორგანიზაციების მოთხოვნა, მისცეს მათ მაღალი ხარისხისა და ხანგამძლეობის ნაწარმი, დაიცვას ქარხნის მარკა და ღირსება.**

**ქარხნის კოლექტივი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება ახალი პროდუქციის ათვისებას. უკანასკნელ ხანებში აქ ათვისეს და წარმოებაში დანერგეს სარკმლის ახალი „ვო-1“ ტიპის ვენტილატორების სერიული გამოშვება. წელს გამოშვებულ იქნება 30 ათასი ცალი ასეთი ვენტილატორი.**

* * *

**სურათზე: ამწყობები ე. მასურაშვილი (მარცხნივ) და ჟ. თარაშვილი ახარისხებენ ვენტილატორების ახალ პარტიას.**

**ფოტო ს. კილაძისა.**

# სპეციალური ნაჭილიდან ბარათი ეოვიდა...

# კარგი თაოსნობა

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ტექნიკის დაუფლებისადმი ახალგაზრდობის ლტოლვა იზრდება. ამას წინათ კარგი თაოსნობა გამოიჩინა საქართველოს ალკა ზესტაფონის რაკეტმა. მისი საგზურით მექანიზატორთა კურსებზე ტრაქტორის საქეს ეუფლება 24 ახალგაზრდა. ისინი მონდომებითა და ბეჯითად სწავლობენ მექანიზატორის რთულსა და საპატიო პროფესიას.

ახალგაზრდა მექანიზატორები ხუთწლედის პირველი წლის გაზაფხულზე მიუსხდებიან ტრაქტორის საქეს, იბრძოლებენ უხვი მოსავლისათვის.

# ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ ᲛᲬᲧᲝᲑᲠᲘᲗ

**ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲑᲘ**

**ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲑᲘ**

**ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲑᲘ**

# ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ

# ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲓᲐᲠᲐᲯᲝᲨᲘ

**ᲓᲐᲜᲐᲛᲐᲣᲚᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲢᲘᲠᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲛᲗᲘᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ**

# საერთაშორისო ცხოვრება

## ლალ ბაჰადურ შასტრისთან გამოთხოვება

ტაშკენტი, 11 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ.). უზბეკეთის დედაქალაქი დღეს ღრმა მწუხარებით გამოეთხოვა ინდოეთის გამოჩენილ პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეს, საბჭოთა კავშირის დიდ მეგობარს ლალ ბაჰადურ შასტრის.

დილის 9 საათსა და 30 წუთზე ადგილობრივი დროით ლ. ბ. შასტრის ცხედარი გამოასვენეს რეზიდენციიდან, სადაც ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ცხოვრობდა ტაშკენტის შეხვედრის დროს. მწუხარე დუმილით გაირინდა სამხედრო ყარაული. კუბო, რომელსაც ადაფარებული აქვს ინდოეთის სახელმწიფო ალამი, გამოაქვთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს, უზბეკეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს რ. ყურბანოვს, ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სვარან სინგჰს, ინდოეთის თავდაცვის მინისტრს ი. ბ. ჩავანს. ცხედარი დაასვენეს საარტილერიო ლაფეტზე. საშეღოვიარო პროცესია ქალაქგარეთა რეზიდენციიდან მთელი ქალაქის გავლით ნელა მიდის აეროპორტისაკენ. ტაშკენტის ქუჩებში დასრულია შავლენტმემოვლებული ალმები. ათეულ ათასობით ადამიანი გამოეთხოვა ინდოეთის სახელოვან შვილს, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განვითარების, ინდოეთისა და პაკისტანის ურთიერთობის ნორმალიზაციის, კაშმირის და მთელი მსოფლიოს მშვიდობის გაძლიერების საქმეში. განსვენებულის ცხედარს ეკრძალებენ საბჭოთა არმიის მეომართა მანქანების კოლონები. მათ მიჰყვება საბჭოთა ხელმძღვანელი მოღვაწეების, ინდოეთის დელეგაციის წევრების მანქანები.

აეროპორტში დასრულია ინდოეთის, საბჭოთა კავშირისა და უზბეკეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ალმები, ჩამწკრივებულია სამი გვარეობის ჯარების წარმომადგენლთა საპატიო ყარაული. ქვეით ჯარისკაცთა, მფრინავთა, მეზღვაურთა მწყობრიგებს მოაქვთ ძაძაშემოვლებული დროშები. აეროპორტში საგზაო-საჰაერო პროცესიას შეურთდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ი. მალინოვსკი, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. დ. სოკოლოვსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. პ. ფირიუბინი, სსრ კავშირის ელჩი ინდოეთში ა. ა. ბენედიქტოვი, სსრ კავშირის ელჩი პაკისტანში მ. ვ. დეგტიარი, მინისტრები, უზბეკეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები.

ლ. ბ. შასტრისთან გამოსათხოვებლად აეროპორტში მოვიდნენ პაკისტანის პრეზიდენტი მოჰამედ აიუბ ხანი, პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრი ზულფიკარ ალი ბჰუტო და პაკისტანის დელეგაციის სხვა წევრები.

გაისმის სამგლოვიარო მელოდიები. საარტილერიო ლაფეტი, რომელზეც განსვენებულის ცხედარია, უსლოვდება თვითმფრინავის ტრაპს. სამგლოვიარო დღის კვრით კუბოს აუარეს საბჭოთა მეომრებმა.

ა. ნ. კოსიგინმა, მოჰამედ აიუბ ხანმა, ინდოეთის მთავრობის წევრებმა სვარან სინგჰმა და ი. ბ. ჩავანმა, ინდოეთის დელეგაციის სხვა წევრებმა ცხედარი შეასვენეს თვითმფრინავის კაბინაში. ორკესტრი ასრულებს ინდოეთის, საბჭოთა კავშირისა და უზბეკეთის სსრ სახელმწიფო ჰიმნებს. გაისმის ერთი სალუტის 21 ზალპი. თვითმფრინავში შეაქვთ გვირგვინები, რომლებიც გამოუგზავნეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, პირადად ა. ნ. კოსიგინმა, უზბეკეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, უზბეკეთის მინისტრთა საბჭომ და სხვა საბჭოთა ორგანიზაციებმა.

...სრულდება უკანასკნელი მსედრული პატივის მიგება საბჭოთა ქვეყანაში. თვითმფრინავი გადის ასაფრენ ზოლზე, ადის პაერში და კურსს იღებს ინდოეთის დედაქალაქ დელისაკენ. დელიში გაემგზავრნენ ინდოეთის დელეგაციის წევრები საგარეო საქმეთა მინისტრი სვარან სინგჰი, თავდაცვის მინისტრი ი. ბ. ჩავანი, ინდოეთის ელჩი სსრ კავშირში ტ. ნ. კაული და სხვები, აგრეთვე უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე რ. ყურბანოვი.

ამავე თვითმფრინავით ლალ ბაჰადურ შასტრის დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად პაკისტანის პრეზიდენტის პირად წარმომადგენლად გაემგზავრნენ დელიში პრეზიდენტის მრჩეველი თავდაცვის საკითხებში, ვაჭრობის მინისტრი გულამ ფარუკი, პაკისტანის უმაღლესი კომისარი ინდოეთში არშად ჰუსეინი.

## ლალ ბაჰადურ შასტრი

ლალ ბაჰადურ შასტრი. ტაშკენტი. 7 იანვარი.

ლ. ბ. შასტრი დაიბადა 1904 წლის 2 ოქტომბერს ქალაქ მუგჰალსარაიში (უტარ პრადეშის შტატი) მასწავლებლის ოჯახში. განათლება მიიღო „პარტი ჩანდრას“ და „კაში ვიდიაპიტის“ კოლეჯებში (ბენარესის უნივერსიტეტი).

ლ. ბ. შასტრი აქტიურად მონაწილეობდა ინდოელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში, რისთვისაც არა ერთხელ დაუპატიმრებიათ ინგლისის კოლონიურ ხელისუფალთ. სულ საპყრობილეებში გაუტარებია დაახლოებით 9 წელიწადი.

ლ. ბ. შასტრის თვალსაჩინო მდგომარეობა ეჭირა მმართველ პარტია — ინდოეთის ეროვნულ კონგრესში. 1951 წელს იგი ამ პარტიის გენერალური მდივანი გახდა.

1952-1964 წლებში ლ. ბ. შასტრის ხელმძღვანელი პოსტები ეჭირა ინდოეთის მთავრობაში.

ჯავაჰარლალ ნერუს გარდაცვალების შემდეგ, 1964 წლის ივნისში იგი არჩეულ იქნა ინდოეთის ეროვნული კონგრესის საპარლამენტო ჯგუფის ლიდერად და პრემიერ-მინისტრი გახდა. ამავე დროს მას ეჭირა ატომური ენერგიის საქმეთა მინისტრისა და ეროვნული საგეგმო კომისიის თავმჯდომარის პოსტები.

ლ. ბ. შასტრი ინდოეთის გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეების მაჰატმა განდისა და ჯავაჰარლალ ნერუს ღირსეული მემკვიდრე გახდა.

მან დიდი წვლილი შეიტანა ინდოეთის მთავრობის მიუმხრობლობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის განხორციელებაში, თანმიმდევრულად იღვწოდა მთელი მსოფლიოს მშვიდობისთვის და კოლონიალიზმის ნაშთების ლიკვიდაციისათვის.

ინდოეთის მთავრობა, რომელსაც ლ. ბ. შასტრი მუთაურობდა, აპორციელებდა საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების პოლიტიკას.

ახლახან დამთავრებული ტაშკენტის მოლაპარაკების დროს ლ. ბ. შასტრიმ ცხადყო სახელმწიფო მოღვაწის დიდი სიბრძნე. მის მიერ ხელმოწერილი დეკლარაცია ძვირფასი საჩუქარია, რომელიც მან ინდოელ ხალხს დუტოვა გარდაცვალების შემდეგ. (საკდესი).

## ინდოეთი გლოვობს

დელი, 11 იანვარი. (საკდესი). ცნობამ პრემიერ-მინისტრ ლალ ბაჰადურ შასტრის უეცარი გარდაცვალების შესახებ თავზარი დასცა ინდოეთის დედაქალაქს. მიუხედავად იმისა, რომ ტრაგიკული ცნობა ღამით მოვიდა, იგი ელვის სიჩქარეთი მოედო ქალაქს.

დილაადრიან ათიათასობით ადამიანი გამოვიდა ქუჩებში, რომლებიც აკრავს ჯან პატჰზე მდებარე სახლს — განსვენებული პრემიერ-მინისტრის რეზიდენციას. ქალები, მამაკაცები, ბავშვები მწუხარე დუმილით მიდიან პრემიერ-მინისტრის სახლთან, რათა უკანასკნელი ვალი მოიხადონ ინდოეთის ერთგული შვილის წინაშე. ინდოეთის პრეზიდენტმა ს. რადჰაკრიშნანმა, ვიცე-პრეზიდენტმა ზაქირ ჰუსეინმა, მთავრობის წევრებმა, ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიის ლიდერებმა სამძიმრის დეპეშები გაუგზავნეს განსვენებულის მეუღლეს ლალიტა შასტრის.

ლალ ბაჰადურ შასტრის დაკრძალვა გაიმართება ხვალ დელიში, ნათქვამია ინდოეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მემორანდუმში, რომელიც აქ გამოქვეყნდა. დღეს და ხვალ ინდოეთის არცერთი სახელმწიფო დაწესებულება არ იმუშავებს განსვენებული პრემიერ-მინისტრის ხსოვნის პატივსაცემად. მთელ ინდოეთში გამოცხადებულია 12 დღის გლოვა.

## პაკისტანის პრეზიდენტის სამძიმარი

ტაშკენტი, 11 იანვარი. (საკდესი). დღეს პაკისტანის პრეზიდენტმა მოჰამედ აიუბ ხანმა შემდეგი სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა ინდოეთის პრეზიდენტს: დიდად შემაძრწუნა და დამამწუხრა ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ლალ ბაჰადურ შასტრის უეცარმა გარდაცვალებამ. მახსოვს ჩვენი შეხვედრების დროს უკანასკნელი რამდენიმე დღის მანძილზე ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა გულწრფელობამ და ერთგულებამ იმ საქმისადმი, რომ ინდოეთ-პაკისტანის ყველა სადავო საკითხი სამართლიან საფუძველზე მოწესრიგებულიყო ინდოსტანის ნახევარკუნძულის მშვიდობის ინტერესებისათვის. ჩვენ ტაშკენტში უზრუნველვყავით დამაიმედებელი დასაწყისი.

ამ მწუხარების ჟამს მინდა სულით და გულით გადმოგცეთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, და თქვენი ხალხის ინდოეთის ბალხს ჩემი სამძიმარი.

## სამძიმრები ლ. ბ. შასტრის გარდაცვალების გამო

დელი, 11 იანვარი. (საკდესი). ინდოეთის პრეზიდენტს ს. რადჰაკრიშნანსა და პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს გ.ლ. ნანდას მოსდით მრავალი სამძიმარი ინდოეთის სხვადასხვა პოლიტიკური მოღვაწისაგან, აგრეთვე სხვადასხვა ორგანიზაციისაგან ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ლ. ბ. შასტრის უეცარი გარდაცვალების გამო. სამძიმრები მოდის აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნების მთავრობათა და სახელმწიფოთა მეთაურებისაგან. სამძიმრის წერილები მიღებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინისაგან.

## ლ. ბ. შასტრის ცხედარი დელიში ჩაასვენეს

დელი 11 იანვარი. (საკდესი). დღეს აქ ტაშკენტიდან პალამის აეროდრომზე ჩამოვიდა თვითმფრინავი ილ-18, რომლითაც ჩამოასვენეს ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ლალ ბაჰადურ შასტრის ცხედარი.

## ლ. ბ. შასტრის მვამის კრემაცია სვალ მოხდება

დელი, 11 იანვარი. (საკდესი). აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ლალ ბაჰადურ შასტრის გვამის კრემაცია მოხდება ოთხშაბათს, 12 იანვარს, ინდოეთის თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწეების მაჰატმა განდისა და ჯავაჰარლალ ნერუს კრემაციის ადგილს.

## ნანდა სათავეში ჩაუდგა ინდოეთის მთავრობას

დელი, 11 იანვარი. (საკდესი). ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ლალ ბაჰადურ შასტრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მთავრობის მეთაურის მოვალეობათა შესრულება დაევალა შინაგან საქმეთა მინისტრს გულზარილალ ნანდას, რომელმაც ფიცი დადო როგორც პრემიერ-მინისტრმა.

გულზარილალ ნანდა ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიის ერთ-ერთი უხუცესი წევრი და ცნობილი პროფკავშირული მოღვაწეა. დაიბადა 1898 წელს. ეკავა შრომისა და დაგეგმვის მინისტრის, აგრეთვე შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტები. 1964 წელს, ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯ. ნერუს გარდაცვალების შემდეგ, ინდოეთის პრეზიდენტმა გ. ნანდა დროებით დანიშნა პრემიერ-მინისტრად და დაავალა კაბინეტის შედგენა. ამ პოსტზე გ. ნანდა იყო, სანამ პრემიერ-მინისტრად დანიშნავდნენ ლ. ბ. შასტრის, რომლის მთავრობაში მან მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრის პორტფელი.

## გულგარილალ ნანდას განცხადება

დელი, 11 იანვარი. (საკდესი). დღეს სრულიად ინდოეთის რადიოთი ინდოეთის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა გულზარილალ ნანდამ განაცხადა, რომ „ინდოეთი პატივს სცემს ტაშკენტში მიღწეულ შეთანხმებას და განუხრელად შეასრულებს მას“. „შეთანხმება, — განაგრძო ნანდამ, — შეესაბამება ინდოეთის ტრადიციებს და ამ პრინციპებს, რომლებიც მას მემკვიდრეობად დაუტოვეს მაჰატმა განდიმ და ჯავაჰარლალ ნერუმ“.

ნანდა შეეხო განსვენებული ლ. ბ. შასტრის მოღვაწეობას და თქვა: „შასტრის ხსოვნის ყველაზე დიდი პატივისცემა ის იქნება, რომ ერის ერთობასა და განმტკიცებას, უბრალო ხალხის კეთილდღეობას მოვახმაროთ ჩვენი სიცოცხლე“, და ლ. ბ. შასტრის გარდაცვალებამ, აღნიშნა მან, შეაძრწუნა ინდოეთი და მთელი მსოფლიო.

## სსრ კავშირის დახმარებით

დელი, 11 იანვარი. (საკდესი). ეკონომიური დახმარება, რასაც საბჭოთა კავშირი უწევს ინდოეთს, და ამ ორ ქვეყანას შორის სულ უფრო მზარდი ვაჭრობა უფრო ხელსაყრელია ინდოეთისათვის, ვიდრე დამარება, რომელსაც დასავლეთი უწევს. ეს თვალსაზრისი ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიის სამმა თვალსაჩინო მოღვაწემ — კ. დ. მალავიამ, გ. საჰიმ და არჯუნ არორამ გამოთქვეს სემინარზე, რომელიც საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ეკონომიური თანამშრომლობის საკითხებს მიეძღვნა. სემინარი ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის საზოგადოებამ მოაწყო ქალაქ ლაკნაუში.

კ. დ. მალავიამ აღნიშნა, რომ საბჭოთა დახმარება ხელს უწყობს ინდოეთის მძიმე ინდუსტრიის განვითარებას. და თქვა, რომ ამით საბჭოთა კავშირი ეხმარება ინდოეთს თავი დააღწიოს უცხოეთის მონოპოლიათა მარწუხს და შექმნას დამოუკიდებელი ეკონომიკა.

ინდოეთისა და სსრ კავშირის ვაჭრობა, რომლის მოცულობა სულ უფრო იზრდება, ურთიერთხელსაყრელია. არჯუნ არორამ აღნიშნა საბჭოთა დახმარების უანგარო ხასიათი და ის ფაქტი, რომ ვაჭრობა განპირობებული არ არის ინდოეთისათვის მიუღებელი რაიმე გარემოებით.

## რადჰაკრიშნანის გამოსვლა

დელი, 11 იანვარი. (საკდესი). დღეს დილით ინდოეთის პრეზიდენტმა ს. რადჰაკრიშნანმა სრულიად ინდოეთის რადიოთი მიმართა ხალხს. პრეზიდენტმა თავისი სიტყვა ლალ ბაჰადურ შასტრის მოღვაწეობას მიუძღვნა. მან აღნიშნა შასტრის დამსახურება ინდოეთის განვითარებაში და, კერძოდ, პაკისტანთან ურთიერთობის ნორმალიზაციის საქმეში. ლ. ბ. შასტრის, ხაზგასმით აღნიშნა პრეზიდენტმა, არასოდეს არ დაივიწყებს მადლიერი ერი. დასასრულ ს. რადჰაკრიშნანმა განაცხადა, რომ ლ. ბ. შასტრი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდება ინდოეთის უმაღლესი ორდენით — „ბჰარატ რატნას“ ორდენით.

## გამოსამაურებელი კამერიქის ბუერთგულ მცველებში

ვაშინგტონი, 11 იანვარი. (საკდესი). პრეზიდენტმა ჯონსონმა მწუხარება გამოთქვა ინდოეთის პრემიერ-მინისტრის შასტრის გარდაცვალების გამო. შასტრის უეცარ გარდაცვალებას მან ტრაგიკული დანაკლისი უწოდა ტაშკენტის ნაყოფიერი მოლაპარაკების შემდეგ.

დემოკრატთა ლიდერმა სენატში მენსფილდმა განაცხადა, რომ შასტრის გარდაცვალება „დიდი დანაკლისია მთელი მსოფლიოსათვის“.

ერაყი. ბაღდადი. მთავრობის რეზიდენცია. შენობა პარლამენტისათვის ააგეს, მაგრამ უკვე ექვსი წელია პარლამენტი აღარ მოქმედებს. ერაყის ახლანდელი მთავრობა აცხადებს, რომ 1966 წელს პარლამენტის არჩევნები მოეწყობა.
ფოტო ლ. ვოლნოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

# დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი

ეროვნული

მსოფლიო დიდი კმაყოფილებითა და მწუხარებით [illegible] ლარაციის ხელისმოწერას.

გეზრი ქვეყნის პრესა, რადიო, ტელევიზია გაცხოველებით განიხილავს ტაშკენტში ხელმოწერილ დოკუმენტს, რომელმაც შეაჯამა პაკისტანის პრეზიდენტის მოჰამედ აიუბ ხანისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ლალ ბაჰადურ შასტრის შეხვედრის შედეგები.

შვეიცარიის დეპეშათა სააგენტომ შეწყვიტა თავისი ჩვეულებრივი გადაცემები და გადასცა ცნობა, რომ ტაშკენტში მიღწეულ შეთანხმებას. შვეიცარიის შრომის პარტიის ორგანო „ვუა უვრიერი“ წერს, რომ უმაღლეს დონეზე ტაშკენტის შეხვედრის მოწყობით საბჭოთა კავშირმა კვლავ დაადასტურა გულწრფელი მისწრაფება ხელი შეუწყოს მშვიდობის შენარჩუნებას მთელ მსოფლიოში.

ამერიკის პრესის აზრით, ტაშკენტის დეკლარაცია სერიოზული წვლილია ინდოეთისა და პაკისტანის ურთიერთობის ნორმალიზაციის საქმეში. იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტოს კორესპონდენტი პენრი შაპირო ტაშკენტიდან იტყობინება, რომ დეკლარაცია „დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია ქაშმირის გამო ინდოეთისა და პაკისტანის 18 წლის მტრობის შეწყვეტის გზაზე, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ტრიუმფია მის უბრალედენტო მეკადინეობაში დაამყაროს მშვიდობა ამ ორ ქვეყანას შორის“.

ინგლისის გაზეთები იძულებული არიან უკან დაიხიონ უამრავი წინასწარმეტყველების შემდეგ, რომ ინდოეთის პრემიერ-მინისტრის შასტრისა და პაკისტანის პრეზიდენტის აიუბ ხანის ტაშკენტის შეხვედრა უშედეგოდ დამთავრდება, და აღიარონ მოლაპარაკების წარმატება. დეკლარაციის ხელის მოწერიდანვე ბი-ბი-სის რადიომ, რომელიც მოლაპარაკებას მთავარ ადგილს უთმობს საერთაშორისო მოვლენებში, აღნიშნა, რომ მიღწეული შეთანხმება „უფრო გამამხნევებელია“, ვიდრე წინათ გვეჩვენებოდა. ბი-ბი-სი განსაკუთრებულად აღნიშნავს დეკლარაციის იმ პუნქტებს, რომლებიც ადასტურებენ ძალის გამოყენების უარყოფას და შეიცავენ ორივე მხარის ვალდებულებას 25 თებერვლამდე დაიბრუნონ ჯარები იმ პოზიციებზე, რომლებიც ეკავათ 1965 წლის 5 აგვისტოსათვის.

საღამოს გაზეთები „ივნინგ სტანდარდი“ და „ივნინგ ნიუსი“ პირველ გამოშვებებში აქვეყნებენ საინფორმაციო სააგენტოთა ცნობებს მოლაპარაკების წარმატებით დამთავრების შესახებ და პუნქტობრივად ბეჭდავენ დეკლარაციის შინაარსს.

„მოსკოვის წარმატება. ინდოეთი და პაკისტანი აღდგენენ დიპლომატიურ ურთიერთობას“ — ასეთი სათაურით გამოაქვეყნა საფრანგეთის გაზეთმა „მონდმა“ ცნობა ტაშკენტის მოლაპარაკების დამთავრების შესახებ. ინდოეთის პრემიერ-მინისტრისა და პაკისტანის პრეზიდენტის შეხვედრას მოჰყვა ისეთი შედეგი, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, „რომლის გათვალისწინება ძნელი იყო. დასკვნითი კომუნიკეს შინაარსმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა“.

## თეთრი სახლის აზრი

ვაშინგტონი, 10 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯონსონი „კმაყოფილებით შეხვდა ცნობას, რომ საბჭოთა პრემიერის კოსიგინის ინიციატივით მოწყობილ შეხვედრაზე ინდოეთი და პაკისტანი შეთანხმდნენ დაბრუნონ ჯარები ხაზზე, რომელიც 5 აგვისტოსათვის იყო ორ ქვეყანას შორის“, — განაცხადა დღევანდელ პრეს-კონფერენციაზე თეთრი სახლის წარმომადგენელმა პრესის საკითხებში მოიერსმა.

ვიმედოვნებთ, განაგრძო მოიერსმა, რომ პრეზიდენტ აიუბ ხანისა და პრემიერ-მინისტრ შასტრის ტაშკენტში მიღწეულ შეთანხმებას მოჰყვება ინდოეთისა და პაკისტანს შორის მშვიდობის დამყარების შემდგომი ღონისძიებანი.

## ვილსონის განცხადება

ლონდონი, 10 იანვარი. (საკდესი). ლაგოსში ერთა თანამეგობრობის ქვეყნების მთავრობათა მეთაურების კონფერენციაზე გაფრენის წინ პრემიერ-მინისტრი ვილსონმა მიესალმა ინდოეთის პრემიერ-მინისტრის შასტრისა და პაკისტანის პრეზიდენტის აიუბ ხანის ტაშკენტის მოლაპარაკების შედეგებს. არა მქონდა დრო შემესწავლა მოლაპარაკების შედეგები, თქვა ვილსონმა, მაგრამ, ჩემი აზრით, დაიდო შეთანხმება „პირველი გასაზღვრული მიზნის შესახებ, რომელიც, როგორც ჩვენ მუდამ მგონია, ადვილი ჰქონოდათ დასაბული, სახელმწიფო შეთანხმება ჯარების გადაყვანის შესახებ პოზიციებზე, რომლებიც მათ ეკავთ შეტაკებამდე“. როგორც პრეს ასოციეიშნს საგენტო იუწყება, ვილსონმა განაცხადა: „ამის მიღწევა ადვილი როდი იყო. რაკი ეს მოხდა, ვფიქრობ, რომ ეს კარგია და რომ ამას უნდა მივესალმოთ“.

## უნგრეთის მოსახლეობა

ფინანსური მონაცემებით, რომლებიც გაზეთმა „კეტფეი პირ	მა“ გამოაქვეყნა, უნგრეთის მოსახლეობა ახლა შეადგენს 10.161 ათას კაცს. (საკდესი).

## შობადობა ამერიკაში

ნიუ-იორკი, 11 იანვარი. (საკდესი). გაიხსნა ამერიკის შეერთებული შტატების 89-ე მოწვევის კონგრესის მეორე სესია.

მოელიან, რომ კაპიტოლიუმში მწვავე დისკუსია გაჩაღდება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ჯონსონის მთავრობის პოლიტიკის გამო.

## ლაოსელ პატრიოტთა წარმატება

პანოი, 10 იანვარი. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, იმოწმებს რა რადიოსადგურის „ლაოსის ხმის“ გადაცემას, იუწყება: ლაოსის პატრიოტულმა შეიარაღებულმა ძალებმა ახალი წლის პირველ ორ დღეებში სიენკუანგის პროვინციაში ჩამოაგდეს და დაუზიანეს 10 ამერიკული თვითმფრინავი.

## ამინდი თურქეთში

ანკარა, 10 იანვარი. (საკდესი). ამ ბოლო დღეებში განუწყვეტელი წვიმების შედეგად ადიდდა მდინარე ჯეიხანი (ადანის რაიონი სამხრეთ თურქეთში) და დატბორა ჩუკუროვის დაბლობის მნიშვნელოვანი ნაწილი. როგორც პრესა ატყობინება, ბევრი სოფელი წყალმა დატბორა. მათთან კავშირი ხორციელდება მოტორიანი ნავების საშუალებით, ადანესთან შეწყვეტილია სარკინიგზო მიმოსვლა.

თურქეთის ჩრდილოეთ და ცენტრალურ რაიონებში სამ დღეს გრძელდებოდა თოვა, რის შედეგადაც მომრთალა შეწყდა ბევრ ავტომაგისტრალზე. ქარბუქთან დაკავშირებით დაიხურა ანკარის აეროპორტი.

## ბურუნდიდან განდევნეს ამერიკის ელჩი

კამპალა, 10 იანვარი. (საკდესი). ბურუნდის სამეფოს მთავრობამ დღეს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს ამ ცენტრალური აფრიკის ქვეყანაში დონალდ დიუმონოს წინადადება მისცა 24 საათის განმავლობაში დატოვოს სამეფო. ეს ნათქვამია ბურუნდის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობაში, რომელიც ბუჟუმბურის რადიომ გადასცა.

ელჩთან ერთად ბურუნდიდან განდევნილ აგრეთვე კიდევ ორ ამერიკელ დიპლომატს: მრჩეველს თომას ბოუკენენს და ამერიკის ბუჟუმბურის კულტურული ცენტრის დირექტორს ნიკოლას მილოროს.

კომუნისტი
მე-3 გვერდი, ოთხშაბათი, 12 იანვარი, 1966 წ.

# სამედიცინო დასკვნა

## ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ლალ ბაჰადურ შასტრის გარდაცვალების შესახებ

ქალაქ ტაშკენტში ყოფნის მთელ მანძილზე, ისევე როგორც 1966 წლის 10 იანვარს საღამოს ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ლალ ბაჰადურ შასტრი თავს კარგად გრძნობდა. იგი არ უჩიოდა ჯანმრთელობის მდგომარეობას. 1966 წლის 10 იანვარს საღამოს ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ლალ ბაჰადურ შასტრი, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ა. ნ. კოსიგინთან იმყოფებოდა დარბაზობაზე, მხნე და მხიარული იყო. როგორც აღნიშნა პრემიერ-მინისტრის პირადმა ექიმმა დოქტორმა რ. ნ. ჩუგჰმა, რომელიც ყოველთვის თან ახლდა პრემიერ-მინისტრს და დარბაზობაზეც ესწრებოდა, თავის რეზიდენციაში დაბრუნების შემდეგ ლალ ბაჰადურ შასტრი კარგ გუნებაზე იყო, თავს ნორმალურად გრძნობდა, ტელეფონით ელაპარაკა ნათესავებს დელიში, დაწვა დაახლოებით 0 საათსა და 30 წუთზე.

11 იანვარს დაახლოებით 1 საათსა და 20 წუთზე პრემიერ-მინისტრის ექიმს, რომელიც მუშობელ ოთახში იმყოფებოდა, მიმართეს ბატონებმა საჰ

, კაპუმმა და შარმამ, რომლებმაც უთხრეს, რომ ლ. ბ. შასტრიმ ცუდად იგრძნო თავი. დოქტორი რ. ნ. ჩუგჰი მაშინვე მივიდა პრემიერ-მინისტრთან, რომელიც საწოლზე იჯდა, ახვეულიყო, გაფითრებული იყო, გული ხელით ეჭირა და ჩიოდა, ჰაერი არ ყოფნისო. ფაჯისეცმა ხმირი და სუსტი ჰქონდა, არტერიული წნევა ვერ გაუსინჯეს, გულის ტონები ოდნავ ისმოდა. ექიმსსენებულ პირთა დახმარებით ექიმმა ადგილ სასთუმალზე დააწვინა პრემიერ-მინისტრი, გაუკეთა ერთი მილიონი Mephentin sulphate-ის (მეფენტინ სულფატის) და ერთი მილიონი Micioren-ის (მაიკოროენის) კუნთებშიდა ინექცია.

**რ. ნ. ჩუგჰი**, მედიცინის დოქტორი; **უ. ა. არიპოვი**, უზბეკეთის სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **ი. ი. გორდონი**, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **ო. ნ. პავლოვა**, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **ა. რ. რაჰიმჯანოვი**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **მ. ს. თურსუნხოჯაევა**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **ზ. ი. უმიდოვა**, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **ე. ბ. ერემენკო**, ექიმი; **ა. შამირზაევი**, უზბეკეთის სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ცენტრალური საავადმყოფოს მთავარი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

ტაშკენტი, 1966 წლის 11 იანვარი.

მომდევნო სამ წუთში პრემიერ-მინისტრმა ლ. ბ. შასტრიმ გრძნობა დაკარგა, მაჯისცემა გაუქრა, გულის ტონები აღარ ისმოდა, სუნთქვა შეუწყდა. 1966 წლის 11 იანვარს 1 საათსა და 32 წუთზე იგი გარდაიცვალა. დოქტორმა რ. ნ. ჩუგჰმა დაიწყო რეანიმაცია: ხელოვნური სუნთქვა პირიდან-ენა მაგვარი მეთოდით და გულის არაპირდაპირი მასაჟი. საბჭოთა ექიმმა ე. ბერემენკომ, რომელიც მამინვე მოვიდა დოქტორ რ. ნ. ჩუგჰის თხოვნით, მოსაწილეობა მიიღო რეანიმაციაში. ის რომ მოვიდა, პრემიერ-მინისტრი ლ. ბ. შასტრი უკვე გარდაცვლილი იყო — მაჯისცემა შეწყდა, გულის ტონები არ ისმოდა, სუნთქვა არ იყო, რქევნასას რეფლექსს ვერ იწვევდნენ. შემდეგ რეანიმაცია გრძელდებოდა დაუყოვნებლივ მოსული ზოკის საწინააღმდეგო ბრიგადის წევრებისა და პროფესორების უ. ა. არიპოვის, ი. ი. გორდონის, ო. ნ. პავლოვას, ა. რ. რაჰიმჯანოვის, მ. ს. თურსუნხოჯაევასა და ზ. ი. უმიდოვას მონაწილეობით. აკეთებდნენ გულის არაპირდაპირ მასაჟს, მარცხენა პარკუჭის არეში 15 წუთის ინტერვალით ორჯერ შეიყვანეს კალციუმის ქლორიდის, ადრენალინისა და ლუკოზის ხსნარების ნარევი, აწარმოებდნენ ხელოვნურ სუნთქვას ანაბატინ საინტუბაციო მილის საშუალებით. მაგრამ ყველა ეს ღონისძიება უშედეგო იყო.

თუ გავითვალისწინებთ, რომ წარსულში პრემიერ-მინისტრ ლ. ბ. შასტრის გადატანილი ჰქონდა მოკვარდის ინფარქტის, და დაავადების ხასიათს, რომელიც 1966 წლის 10 იანვარს ღამით მწვავედ განვითარდა, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ სიკვდილი მიოკარდის ინფარქტის განმეორებითი მწვავე შეტევის შედეგია.

**უ. ა. არიპოვი**, უზბეკეთის სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **ი. ი. გორდონი**, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **ა. რ. რაჰიმჯანოვი**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **მ. ს. თურსუნხოჯაევა**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **ზ. ი. უმიდოვა**, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **ე. ბ. ერემენკო**, ექიმი; **ა. შამირზაევი**, უზბეკეთის სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ცენტრალური საავადმყოფოს მთავარი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

ტა

# ლიტერატურა და ხელოვნება

# ა ი ვ ნ ე ბ ი
## პანთეონის მოაჯირიდან

**ელ. ახვლედიანის ნამუშევრების გამოფენა „თბილისის“ გამო**

**ეს არ** უნახავს ძველი სახლი ძველი თბილისის უბანში და ვის არ სწყენია ჩუმი სევდა. დაღვრემილია ელენე ახვლედიანის „უკანასკნელი მოჰიკანიც“. ის, ეტყობა, ობლად შემორჩენია ახალ ქუჩას და თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს-ღა ითვლის.

სახლს ფონი არა აქვს და არც რაიმე უმშვენებს გვერდს. იგრძნობა მხოლოდ, მისი თანატოლნი უკვე ჩაუყლაპავს დროთა ვითარებას. სულ მალე და „განწირულსაც“ გაიხსენებს დროდაკამის ულმობელობა. რკინის ხორთუმი ერთი ამოსუნთქვით შეუნგრევს მკერდს ამ ხუხულას, დაანგრევს მოლაყლაყებულ კიბეს, დაფშვნის ხავსმოდებულ კრამიტებს და სამუდამოდ წაშლის საძირკვლის კვალს.

მაგრამ ელენე ახვლედიანის ამ ბრწყინვალე ნამუშევარში მთავარი იმ გარინდული სინამდვილის აღქმა კი არ არის, რაც მოხაზულია ფუნჯით, აქ მთავარია განწყობილების სწრაფვა ამ ფუნჯით მოხაზულის მიღმა.

სურათში ყველაფერი სევდას მოუცავს. ავი წინათგრძნობა და შიში დასადგურებულა ძველი სახლის მტვრიან კუნჭულებში. ხავსში გეოლოგიურ ფენებივით ჩაკეცილა დრო.

ჩანს, ახალგაზრდობაში ეს სახლი თავისი რიკულებიანი აივნებით, ფერთა სიუხვით და სიმსუბუქით გაზაფხულის პეპელას ჰგავდა, ახლა კი ფერები გამოხუნებულან, ბოძები დაღრეცილან და ნაოჭებს დუფაჩავთ ყოფილი სიკეკლუცე.

გადაღმიდან, ფოთლებგაცვინული ხის კენწერო სევდიანად დაპყურებს სახურავის ჩაშავებულ კრამიტებს და გვიანი შემოდგომის ქარისაგან წელწახრილი ტოტები გაბზარული ხმით დასტირიან ბედგამწყრალ თანატოლს.

ელენე ახვლედიანის ამ შესანიშნავ ბოემაში არც გაზაფხულის პეპლებია და არც ფერთა სიუხვე. ეს მხოლოდ ფიქრის ნაყოფია. ჩვენ მიგვიზიდა განწირულის სევდიანობამ და მიგყვებით მას. თანდათან ვაშორებთ კრამიტებს მტვერს და დიდსტატატან ერთად ვხატავთ გმირის მთლიან ხასიათს. მხატვრის გამარჯვებაც სწორედ ამას ჰქვია.

ამ რამდენიმე წლის წინათ გარინდული ვიდექი და დიდხანს შევყურებდი ლორიას გალერიაში გამოფენილ ელასკესის შედევრს, პაპი ინოკენტი მეათის შესანიშნავ პორტრეტს და მიკვირდა — როგორ შეძლო ოსტატის გენიამ საწინააღმდეგო ვნებათა სრულყოფა ერთ ხასიათში და ერთ ტილოზე.

არ მეგონა, თუ უსულო საგნებსაც მხოლოდ თავისი და თანაც ასეთი მრავალმხრივი ხასიათები და ვნებანი ჰქონდა. ამაში მე ჯერ ვაკამ დამარწმუნა და შემდეგ ელენე ახვლედიანის შესანიშნავმა ტილოებმა.

„ძველი თბილისი“ მთელი ეპოქაა ქართულ მხატვრობაში და განსაკუთრებული ფურცელი ელენე ახვლედიანის შემოქმედებაში. თბილისს ბევრი შეყვარებული მხატვარი ჰყავს. მათ რიცხვს ამშვენებს საქართველოს სახალხო მხატვარი, ფერწერის გამოჩენილი ოსტატი, ქართული პლასტიკური ხელოვნების განუმეორებელი ფერების პოეტი — ელენე ახვლედიანი. და თუ ჩვენ აქ დაწვრილებით შევჩერდით „უკანასკნელ მოჰიკანზე“ — მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ტილო მხატვრის მიერ ძველი თბილისისადმი მიძღვნილი სურათების ძირითად ღერძად მიგვაჩნია. ეს სურათები გამოფენილია ხელოვნების მუშაკთა სახლში. გამოფენას „თბილისი“ ეწოდება.

და აი ეს სურათებიც, სავსე ხან ჰაერითა და სინათლით, ხან ჩამუქებული და ძუნწი ფერებით. „მიმავალი თბილისი“ თავისი სართულებითა და აივნებით.

მდეგო ვნებათა სრულყოფა ერთ ხასიათში და ერთ ტილოზე.

„ძველი ეზო“ — ამ ეზოში შემოპარული ერთადერთი სხივით, რომელიც მხოლოდ ერთ აივანს ათბობს, ხაზი რომ გაუსვას ამით დანარჩენი აივნების უიმედობას. „ძველი თბილისი“ კეკლუცად მიჯრილი სახლებით, „ძველი შუკა“ აკა-იქ გუბეებად დაღვრილი მზის შუქით. აივნიდან აივანზე გაშმეული თოკები და ამ თოკზე გასაშრობად გადაფენილი წიკომაკო. ალვის ხეებში ჩაფლული სახურავები და, ისევ აივნები... აივნები, მეტეხის კლდეზე არწივის ბუდესავით რომ მიჰკვრიან სიპს, აივნები ბინის ფანჯრიდან, აივნები პანთეონის მოაჯირიდან.

ყოველივე ეს ოსტატის ერთი ხელწერაა, საგანიც ასახვისა ძირითადად ერთია თითქოს, მაგრამ მუდამ განსხვავებული თავისი დეტალებითა და ამ დეტალებში გაფანტული, განუმეორებელი განწყობილებით.

წარსულს და მომავალს მუდამ თავისი რომანტიკა ჰბერავს და ელენე ახვლედიანის ფუნჯიც ამ რომანტიკის მესაიდუმლეა. მაგრამ რა იქნებოდა, რომ მომავალსაც არ ჰქონდეს თავისი მგზნებარება, რომ ის სწორედ ამ მგზნებარებით არ ეპაიჭრებოდეს წარსულს და ამ ჭიდილში არ ძერწავდეს ახალ მომავალს.

მხატვრის გამჭრიახ თვალს არ გამოპარვია ჭიდილი გზნებისა, და აი რკინაბეტონში ჩასმული სართულები ახალი თბილისისა, ფართო მოედნები, მტკვარზე ამაყად გადაჭიმული ახალი ხიდები, გრანიტში ჩაჭიდული მტკვრის წარმტაცი სანაპიროები და ისევ სართულები. ეს ლარივით გაჭიმული პროსპექტები და დაკლაკნილი სანაპიროები მოსდევენ მტკვრის ხეობაში გაწოლილ ძველ თბილისს და შეუბრალებლად ნთქავენ ყველაფერს, რაც ხელს უშლის მათი წინსვლის გაბედულ ნაბიჯს. ეს ძველი და ახალი ეესებენ სიცოცხლეს, და ჩვენი მხატვარიც აქ პოულობს თავისი ტილოების თემას.

ელენე ახვლედიანს ჩემი ცხოვრების თითქმის მთელ მანძილზე ვიცნობ, ვაკვირდები და ერთი რამ მოგცემს: ვერაფერმა ვერ დაადინჯა ამ წყწოლა ქალის ბუნტარული სული. მხატვრის ბიოგრაფიაც ისე მდიდარია, როგორც მისი შემოქმედება.

ჯერ სკლიფოსოვსკის სტუდია და შემდეგ გიგო გაბაშვილის კლასი თბილისის სამხატვრო აკადემიაში. მერე იტალია თავისი უნიკალური მუზეუმებით, სამხატვრო გალერეებით და დაოსტატებაზე ზრუნვა. შემდეგ პარიზი თავისი ლუვრითა და მონმარტრზე მოხეტიალე მხატვრებით. მერე პერსონალური გამოფენა იმავე პარიზში და ელენე ახვლედიანის ტალანტის აღიარება ფრანგული პრესისა და განებივრებული პარიზელი მხატვრების მიერ. კიდევ შემდეგ, ელენე ახვლედიანის სურათების მოგზაურობა ამერიკაში და ჰოლანდიაში. მერე კი დაბრუნება სამშობლოში. საინტერესო მეშაობა კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით ქართულ თეატრში. შემდეგ წლები, და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი რამ...

ის თითქოს მორიდებულიც არის და ხანდახან გამბედავიც. არასოდეს არ იცი, რა მოეწონება და რას დაგიწუნებს. ლაპარაკი არ ეხერხება, სიტყვაძვირია და მეტყველებაშიც კოჭლობს. მინდა ეს წერილი წინასწარ გავაცნო და ვშიშობ:

— რა არის ეს!.. — ესათუოდ უკმაყოფილოდ შემეკითხება ის და მეც ამ გრძელი წინადადებიდან თითქმის ვერაფერს ვერ გავიგებ და, ბოლოს, როცა მივხვდები, თუ რა მკითხა, მაშინ-ღა ვუპასუხებ მორცხვად:

— ეს თქვენი ნიჭის თაყვანისმცემლის შთაბეჭდილებაა მხოლოდ და სხვა არაფერი. თბილისი მხოლოდ ერთი ნაწილია თქვენს მდიდარ გალერიაში, ვიცი, მაგრამ ამ ნაწილის თავმოყრაც კი შეუძლებელი აღმოჩნდა ერთ ციდა წერილში.

— ან ეს რა საჭირო იყო, ეითომ? — იტყვის ელენე და ამით გაათავებს წერილზე საუბარს.

მე დავემშვიდობები მასპინძელს. გამოვალ ქუჩაში, გავხედავ მთაწმინდას და ნემთვის წარმოვიდგენ:

დგას მხატვარი მამადავითის პანთეონის მოაჯირთან, გაპყურებს შუბლიურ ქალაქს და გატაცებით ხატავს ძველი და ახალი თბილისის კონტრასტებით სავსე პეიზაჟებს.

**მიხეილ მრევლიშვილი.**

• • •

**თბილისის** წარსულისა და აწმყოს გატაცებული მემატიანის, საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის **ელენე ახვლედიანის** ნამუშევრებს, რომლებიც გაერთიანებულია საერთო სათაურით „თბილისი“, ინტერესით ეცნობა დედაქალაქის საზოგადოებრიობა. „სახტუმრო შეხვედება“ — ასე უწოდებია მხატვარს ტილოსათვის, რომელსაც ამ სურათზე ხედავთ.

**უ ჩ ვ ე უ ლ ო ა** წელს ზამთარი საქართველოს სუბტროპიკებში. იანვრის თვე დადგა, ხოლო ბათუმისა და მისი გარეუბნების ბაღებსა და პარკებში ხეები და ბუჩქები უყვავის. მსხვილი თეთრი ყვავილებით დაიფარა კამელია, ყვითლად შემოსილა მეზამთრია, ვერონიკა ანდერსონის ბუჩქები ყვავილების სამოსში გახვეულა, ქლიავი და ტყემალიც აყვავდა. არნახულად ადრე დაიწყო ყვავილობა წელს მიმოზამ. ბევრი ოჯახის საახალწლო სუფრა დაამშვენა ამ ლამაზი მცენარის ყვავილმა. მიმოზას ყვავილი ჩვეულებრივად 8 მარტის დღესასწაულის სტუმარია, მაგრამ წლევანდელი სამხრეთის ზამთარი იანვარშიაც ახარებს ყვავილების მოყვარულთ მიმოზის ალისფერი ყვითელი თაიგულით.

**სურათზე:** აჭარის ბაღებში მიმოზა აყვავდა.
ფოტო ნ. ანასტასიევისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

## ჯანმრთელობის ახალი კერა

**ბათუმი.** (საკ. კორ.). ქალაქის გარეუბნების ერთ-ერთი მთის პლატოზე, აკაციების ხეივანში მორნს თეთრად შეფეთქილი ორსართულიანი შენობა. აქ ახლახან გაიხსნა 75-საწოლიანი თეზიო-თერაპიული საავადმყოფო.

საავადმყოფოში ძირითადად მკურნალობენ გულსისხლძარღვთა, კუჭნაწლავის დაავადებებს. გაზაფხულიდან იმუშავებს ბალნეოლოგიური კორპუსი, სადაც ავადმყოფები მიიღებენ ჰიდროპროცედურებს, იმკურნალებენ ტალახით და სხვ.

ბათუმის რესპუბლიკური ფიზიო-თერაპიული საავადმყოფო ამავე დროს წარმოადგენს საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ბაზას აჭარაში.

საავადმყოფოს ხელმძღვანელია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ე. მგალობლიშვილი.

## სარედაქციო ფოსტიდან

**მუშრომელთა საყვარელი ადგილი**

**მუშრომელთა** საყვარელი ადგილია ზესტაფონის სარაიონო ბიბლიოთეკა, რომელსაც მყუდრო, ნათელი ოთახები, დარბაზები, წიგნსაცავები და სამუშაო კაბინეტები აქვს. იგი 3 ათასამდე მკითხველს უწევს მომსახურებას, მდიდარია წიგნის ფონდით.

აქ ხშირად იმართება შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, მკითხველთა კონფერენციები, ლიტერატურული საღამოები, ლექციები, მოხსენებები.

ბიბლიოთეკასთან მოწყობილია გამოფენები.

**ივ. მარაქველიძე.**

**მკითხველი და გაზეთი**

**ზუგდიდში** გაიმართა გაზეთ „სახალხო განათლების“ მკითხველთა კონფერენცია.

გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალების ავკარგიანობაზე, სასკოლო ცხოვრების საკირბოროტო საკითხების გაშუქებაზე ილაპარაკეს სკოლების დირექტორებმა, მასწავლის ნაწილის გამგეებმა, მასწავლებლებმა.

**ე. ჩიქავა.**

## სარედაქციო ფოსტიდან

**ბიბლიოთეკა**

**ბიბლიოთეკა** ... ნაკლები აქვს. „სელტიკის“ ძალა მის მადალტექნიკურ თამაშში, ტემპსა და „სბარძოლო დისციპლინაშია. მოთამაშეთა შორის გამოირჩევა ნახევარმცველი ვილე მაკპეიდი — დაცვისა და იერიშების დიდი ორგანიზატორი, მეტწილად გოლების ავტორი.

ვინ იცავს „სელტიკის“ ღირსებას? ესენი არიან: რ. სიმპსონი, ჯ. იანგი, ტ. ჯამელი, ვ. მაკნეილი, ჯ. კენედი, რ. მერდოკი, ჯ. კლარკი, რ. ლენოქსი, ჯ. ჯონსტონი, ს. ჩალმერსი, ჯ. მაკპრიჯი, ჯ. ჰიუჯი, რ. ოულდი და სხვ.

შოტლანდიელები პრესაშიც კი არ მალავენ, რომ მათ მეოთხედფინალში წარმატებების იმედი აქვთ. მაგრამ ამაზე სულ სხვა აზრისა არიან კიევის დინამოელები.

ასეა თუ ისე, ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა შეუძლია დღევანდელ მატჩს გლაზგოში „დინამოსა“ და „სელტიკის“ გუნდს შორის.

## ... ... ...

**ბ ა ტ ო ნ ი ...**

**ბ ა ტ ო ნ ი** ... ... ...